სამშაბათი, 24 აგვისტო 1919 წ. № 190

ერთობა

ფასი 1 მან.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ფეოდალ კარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. [illegible] ... ფეტიტის სტრიქონი— [illegible] განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ღრმად დამწუხრებული დედა სონია გიგოს ასული დოლიძე, შვილები: ქეთო და პეტრე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 30 მარტს გარდაცვლილ მათი ძვირფას

ივანე უარამანის ძე დოლიძის

ცხედრის ნეშთს თფილისიდან ნატანებით სოფ. ბახვში წაასვენებენ შაბათს, 30 აგვისტოს, 4 საათზე. დასაფლავება ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში 3 ენკენისთვეს, 12 საათზე.

გულდათუთქული დედ-მამა მარიამ და მაქსიმე, დები: ელპიტე და ქეთო, ძმები: სევერიანე და ერმილე, რძალი ბაბილინა, სიძეები: ნიკოლოზ ლორთქიფანიძე და სიმონ ზურაბის ძე ლეჟავა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 23 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი

სერგო მაქსიმეს ძე პოგეშავიძე.

მიცვალებულის გამოსვენება თფილისის ადგურიდან მოხდა 24 აგვისტოს სოფ. მაღლაკში, სადაც დაასაფლავებენ 27 აგვისტოს ნაშუადღევს.

გულდამწვარნი შვილები: კალენიკე და ამელიკე, რძალი ნადია და შვილიშვილი ტუკუ ჟღენტები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ

ივანე მაქსიმენის ძე ჟღენტის

უეცრათ გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 26 აგვისტოს, 12 საათზე ბასილეთში წმინდა ვასილის ეკლესიის სასაფლაოზე.

ახალი წიგნი—იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

გალაკტიონ ტაბიძე:

ლექსები ტომი მეორე (1914—1919)

მსურველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შემდეგი მისამართით: თფილისი, გაზ. „ერთობა“.

წიგნის ფასი 25 მან.

საწარმოვო ძალების განვითარება

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება დღითი დღე უარესდება. მრეწველობა და მეურნეობა ან სულ დაეცა, ან და სიკვდილის პირათ არის. ნაციონალური სიმდიდრის შექმნა კუს ნაბიჯით სწარმოებს და ხალხის მოთხოვნილებას ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს, რის გამო ისედაც დაქვეითებული ეკონომიური და სულიერი კულტურა თანდათან სუსტდება და ქვეითდება. შრომისა და კაპიტალის მოძრაობა წარმოების თითქმის ყველა სფეროში სრულიად უმნიშვნელო მასშტაბით ხდება. ეს გარემოება კი მეტად სახიფათოა; სახიფათოა განსაკუთრებით დღეს—ამ საერთო და მსოფლიო კრიზისის ხანაში.

ცნობილია რომ ხალხის სიმდიდრეს ქმნის საწარმოვო ძალების განვითარება და მისი აყვავება. ევროპაში საწარმოვო ძალთა ამოძრავებამ უმაღლეს საფეხურამდე მიაღწია; კაპიტალის და შრომის ნაყოფიერება წარმოუდგენლათ განვითარდა. იქ არ არსებობს მკვდარი და უსარგებლო კაპიტალი. ყოველივე ცოცხალი, შემოქმედებითი ძალა გამოყენებულია ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ გაღონიერება-გაძლიერებისათვის.

ჩვენში ფული საზოგადოების ისეთ წრეებში დაგროვდა, რომ იგი სრულიად უმნიშვნელო და უსარგებლო გახდა. სპეკულიაციით მოგროვილი ფული წარმოებას ეცლება, სავაჭრო სფეროში გადადის და მონაგები ქადალდის ფულებით კიდობნები იბეკნება.

ფულის დღევანდელი პატრონები, უმეტესათ აღზრდილნი განუვითარებელ წარმოების წესით, მოკლებული საზოგადოებრივ ინიციატივას, შიშობენ და ვერ ახერხებენ მსხვილი წარმოების გაჩაღებას, თუ წვრილის გაფართოებას.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიქცეს. ფული უნდა გახდეს კაპიტალათ, ამოქმედდეს და ამოძრავდეს საწარმოვო ძალები, გაფართოვდეს და გაძლიერდეს სამეურნეო და სამრეწველო დარგები.

კაპიტალის და შრომის ამოძრავება წარმოებაში—აი უტყუარი საშუალება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ და კულტურულათ ასამაღლებლათ. სხვა საშუალებანი პოლიტიკურია და ვერც შესძლებს ჩვენი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის განმტკიცებას.

ვიმეორებთ, ამ მხრით უნდა იქნას მიქცეული სერიოზული ყურადღება როგორც კერძო პირების, ისე საზოგადოებრივ ორგანოების და ჩვენი მთავრობის ვალია ხელი შეუწყოს ყოველ ასეთ ინიციატივას და საქმიანობას...

მოხეტიალე კომუნიზმი

პროვინციაში აქა-იქ ისევ გრძელდება პროპაგანდა-აგიტაცია ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი რესპუბლიკისა და ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. თითო ოროლა უკმაყოფილონი დადიან სოფლიდან სოფლათ და ხალხს აჯანყებისაკენ იწვევენ. განსაკუთრებით ძლიერი იერიში მიაქვთ გურიაზე.

გურია—აკვანია რევოლიუციისა; გურია, რომელიც სხვაგან ებრძვის რესპუბლიკის მტრებს, რა თქმა უნდა, არასოდეს არ წამოეგება მათ ანკესზე. ამ მხრით საფიქრალი, რასაკვირველია, არაფერია. მარა, ის შხამიანი აგიტაცია, რომელიც ყოველ დღე იპნევა გურიის სივრცეზე სიტყვით თუ პროკლამაციებით, მაინც ითხოვს ერთგვარ ანგარიშის გაწევას და იმ უთვალავი ცილის წამების უარყოფას, რომლითაც ასე უხვად გვიმასპინძლდებიან ჩვენი კომუნისტები.

გურულების დიდი უმრავლესობა კარგათ გრძნობს, რომ დღეს საჭიროა ზრუნვა არა არეულობაზე და ნგრევის გაგრძელებაზე, არამედ შემოქმედებითი მუშაობაზე.

შემოქმედებითი მუშაობა მუდამ უჩინარია. იგი ნელ ნელა და თანდათანობით აჩენს ხოლმე თავის შედეგებს. დემოკრატიული წყობილება უეცრათ არ ქმნის ბედნიერებას. მას არ შეეძლო ერთი დაკვრით შეეცვალა საზოგადოებაში გაბატონებული ზნე-ჩვეულებანი. ამით სარგებლობენ ჩვენი ბალშევიკები და დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ გააფთრებული იბრძვიან.

დემოკრატიის მთავარი დებულებების ცხოვრებაში დასამკვიდრებლათ საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა და თანდათანი კულტურული განვითარება. ამიტომ შემოქმედებითი მუშაობა უფრო ხანგრძლივ შრომას და მეტ მოთმინებას მოითხოვს, რაიცა შედეგია შეგნების, გამოცდილების, გონებრივი მუშაობის. ეს კი ცოტა არ იყოს, არც ისე ადვილი გასაგებია, შესათვისებელი—კიდევ უფრო ძნელი.

ჩვენს კომუნისტებს ამისთვის არც მოთმინება ყოფნით, არც შეგნება. ისინი იმითაც კმაყოფილი არიან, თუ რომელიმე სოფელში თითო ოროლა მომხრეს გაიჩენენ და მათი საშვალებით ახლად დაწყებულ მუშაობაში არევ-დარევას შეიტანენ.

დღეს სოფლათ ისეთი ჩუმი, მარა მუყაითი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს, რომ მისი ხელის შეშლა და მოულოდნელი დაბრკოლებების შექმნა აღემატება ყოველგვარ დანაშაულს და თუ დანაშაულისთვის უნდა დაიბეჭოს ვიხმე, ამ სასჯელს ისტორიის წინაშე, რა თქმა უნდა, ვერ ასცდებიან ჩვენი კომუნისტები.

განდევნილი ყველა მაზრებიდან და ქალაქებიდან ახლა გურიაში ფიქრობს, თავის შეფარებას მოხეტიალე კომუნიზმი, მარა რევოლიუციის ქვაბში ათასჯერ გადახარშული გურია შესაფერ პასუხს აძლევს მას და ეჭვი არაა შესაფერ ადგილსაც მიუჩენს...

განი.

საქართველო და მისი გეგმა

XVI

ცენტრალური სტატისტიკური ბიურო.

ამ დღეებში შეუდგა თავის მოქმედებას დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის ძალით ცენტრალური სტატისტიკური ბიურო.

ბიურო არ გაჩენილა მოულოდნელად, მექანიკურად. მას ჰქონდა თავისი მოკლე, მაგრამ შინაარსიანი ისტორია, თავისი კანონიერი არსებობისთვის ნიადაგი, ყოფილ სტატისტიკური განყოფილების სახით, რომელიც ჰ. გელეიშვილის ინიციატივით და მეთაურობით დაარსდა მიწათ მოქმედების სამინისტროსთან.

დადებითი მხარე ამ სტატისტიკური განყოფილების მოქმედებისა გამოიხატებოდა არა მარტო იმ ნაყოფიერ მუშაობაში, როგორიც თავის მოყრა სტატისტიკური მასალების, მათი დაყოფა-დანაწილება სამეცნიერო გამოსარკვევ—დასასკვნელად საქართველოს სახოფლო მეურნეობის შესახებ, არამედ მომზადებაშიაც მთელი კადრის ახალგაზრდა სასტატისტიკო გამოცდილი მოხელეთა, რომელნიც წარმოადგენენ აუცილებელ საჭიროებას ყოველი მეცნიერულ ნიადაგზე და გამოცდილებაზე დამყარებული სტატისტიკური დაწესებულებისათვის.

აი სწორეთ ეს სტატისტიკური განყოფილება თავისი მეცნიერული ცოდნით, გამოცდილებით და შემადგენლობით დაედვა საფუძვლათ ახლად დაარსებულ საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოფილ სტატისტიკური განყოფილების შესწავლის საგანს შეადგენდა მარტო მიწათ მოქმედების სფერო, დღევანდელი ცენტრალურ სტატისტიკური ბიურო კი შეიცავს ყოველგვარ დარგს ეროვნულ მეურნეობისას სახელმწიფოს ფარგლებში.

ბიუროს ეძლევა ამ გვარად დიდი ნიადაგი და გასაქანი სამეცნიერო გამოსარკვევათ და დაუფასებელ სარგებლობის მოსატანად საქართველოსთვის. ცენტრალურ ბიუროს მომავალ ნაყოფიერი მოქმედებაში ჩვენ ღრმათ დარწმუნებულნი ვართ. ამის გარანტიას გვაძლევს ის გარემოება, რომ ბიუროს სათავეში უდგია მცოდნე პირი, პოლიტიკო-ეკონომისტი, სტატისტიკოსი შანდელშტამი.

ამ ბიუროს დაარსებით ჩვენმა მთავრობამ გადადგა ფრიად მნიშვნელოვანი და სახელმწიფოსთვის სასარგებლო ნაბიჯი, მოუტანა დიდი შემატება ჩვენს ხალხს.

ბევრს მკითხველს, სახელდობრ სოფლის მცხოვრებელს, სოფლის დაწესებულებებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერისთვის, სახელმწიფოს ცხოვრებისთვის სტატისტიკას.

ამიტომ ჩვენ მეტად არ მიგვაჩნია შევჩერდეთ ცოტათ ამ საგანზე და აღვნიშნოთ სასარგებლო მნიშვნელობა ცენტ. სტატისტიკურ ბიუროსი და ის როლი, რომელიც მან უნდა შეასრულოს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

რა არის სტატისტიკა?

სტატისტიკა არის მეცნიერება, რომლის საგანს შეადგენს შესწავლა ერის საზოგადოების ცხოვრებისა სტატისტიკური ანუ რიცხვითი მეთოდის საშუალებით.

პრაქტიკულად ამას ასრულებს მეცნიერულ ცოდნით და მეთოდით შეიარაღებული სათანადო სტატისტიკური დაწესებულება, ორგანიზაცია.

სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია ასეთი სტატისტიკური დაწესებულება, ემგზავსება იმ თვალ ახვეულ ადამიანს, რომელიც ცდილობს გადადგას ნაბიჯი მხოლოდ ინსტიქტიურად, რომ არ ასცდეს სწორ გზას, არ გადიჩეხოს ხრამში; წააგავს ოჯახის იმ მეთაურს, რომელსაც არ აქვს სრული და სწორი წარმოდგენა თავის მეურნეობის შემოსავალზე, ხარჯავს კი უთავბოლოდ, რის გამო ყოველ წელს მისი მეურნეობა თანდათან ქვეითდება და ბოლოს გადაგვარების გზას ადგება.

სახელმწიფოს, რომელსაც სურს დამოუკიდებელი არსებობა, თავის ერის წინმსვლელობა, მეურნეობის ყოველ მხრივ აღორძინება-აყვავება, ხალხის სიღატაკის თავიდან აცდენა, სხვა და სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობის საქმის დაჭერა, უპირველეს ყოვლისა უნდა ჰქონდეს, როგორც ხელის გულზე გადაშლილი სურათი თავის ხალხის ცხოვრება—მდგომარეობისა, მთელი მეურნეობის წინმსვლელობის თუ დაქვეითებისა. ამას კი შესძლებს მაშინ, როდესაც იგი „შეიარაღებული იქნება სათანადო სტატისტიკური დაწესებულებით.

ეს დაწესებულება პერიოდულად, ასე ათ წელიწადში ერთხელ ახდენს მცხოვრებთა საყოველთაო აღწერას; პერიოდულად კრეფავს და აგროვებს მასიურათ ცნობებს და ფაქტებს სახელმწიფოს მეურნეობის ყოველ გვარ დარგის შესახებ, თუ რა შემოსავალ-გასავალი აქვს სოფლის მეურნეს და მწარმოებელს, ქალაქის მექარხნეს და ვაჭარს, მუშას და მოხელეს;

რაში გამოიხატება სიმდიდრე ერთისა და სიღარიბე მეორესი; რამდენია დამუშავებული მიწები, რამდენი მიტოვებულია დასასვენებლად; რამდენი ჰყავს ამა თუ იმ მეურნეს სამუშაო და საკლავი საქონელი, როგორი მოსავალია, მიწის ნაყოფიერება, როგორ ფასობს ჭინახული ადგილობრივ ან ბაზარში; რა პირობებში და სიფართოვეში სწარმოებს ქარხნის მრეწველობა, რა გვარ პირობებში უხდება მუშებს შრომა, როგორ ფასობს მუშა, რა პირობებში და ფორმაში არსებობს ვაჭრობა, აღებ მიცემობა, ხალხის ჯანმრთელობის გამოკვლევა, მისი გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა, სიკვდილის რაოდენობა და ამ მოვლენის მიზეზების გაგება და მრავალი სხვა.

მთელი ის აუარებელი შეკრეფილი მასალა, ცნობები, ფაქტები მუშავდება, ისწავლება სტატისტიკური ცენტრალურ დაწესებულებაში, როგორც ლაბორატორიაში.

აქ ითვალისწინებენ ამ მასალას, აკეთებენ დასკვნებს და გამოჰყავთ ერის მრავალფეროვან ცხოვრების მოვლენათა **კანონები**.

ამ კანონებით შეიარაღებული მთავრობა უკვე გაბედულათ გამოდის სახელმწიფოს გასაძღოლათ, ხმარობს უტყუარ და შეუცდომელ საშუალებებს ხალხის გასაბედნიერებლათ და უკეთესი მსვლელობის თავიდან ასაცდენათ.

როგორ იარსებოს ერმა, როგორ იმოქმედოს მთავრობამ, გაატაროს ესა თუ ის რეფორმა, თუ არ ექნება ნათლად წარმოდგენილი თავის ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა, თუ არ ეცოდინება მარჯვენა

დღეს

მთელს უნგრეთში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ფრანგული პრესის ცნობით უნგრეთში შესდგა კოალიციური მთავრობა სოციალისტების მონაწილეობით.

ახლო ხანში ამერიკის მისია გაემგზავრება სომხეთში, მცირე აზიაში და ოსმალეთში.

გერმანია და პოლონეთი შეთანხმდნენ, რომ ზემო სილეზიაში მომხდარი უთანხმოების მოწესრიგება მიენდოს მოკავშირეთა მისიას.

ყარაბაღის შესახებ მოხდა შეთანხმება სომეხთა ეროვნული ყრილობისა და ადერბეიჯანის მთავრობის შორის.

ხალს რას აკეთებს მარცხენა ყველა ამ გამოურკვევლობას კი, ამ უკულმართობას თავიდან აიცდენს სტატისტიკა. დღეს ჩვენს მთავრობას დაარსებულ ცენტრალურ სტატისტიკური ბიუროს სახით ხელში უკავია ფრიად მნიშვნელოვანი და მჭრელი იარ ღი, რომლის საშუალებით იგი ადვილად გაერკვევა დღევანდელ რთულ ცხოვრებაში და დაადგება წინმსვლელობის გზას. დიდი მოვალეობა და მრავალ გვარიანი შრომა ეკისრება ამ ცენტრალურ ბიუროს. ივალება გაეცნოს საქართველოს ცხოვრების ყოველ გვარ დარგს, შეისწავლოს ადგილობრივ პირობები, შეკრიბოს და განიხილოს ცნობები და ფაქტები მიხედვით ძირითადი სტატისტიკის მოთხოვნილებისა. თავი მოუყაროს მთელ მასალას, შეისწავლოს იგი, დასკვნას და გამოსცეს კრებულები.

პირველ ხანებში ცენტრალურ ბიუროს მოუხდება ფართოთ დაეხმაროს ერობებს, მოუწყოს სტატისტიკური განყოფილებები, დაგზავნოს ინსტრუქტორები, სამაზრო სტატისტიკოსები. ცენტრალურ ბიურომ აუცილებლად უნდა მოაწყოს მაზრებში მოხალისე კორესპონდენტთა ჯგუფები, რომელიც დიდ მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენენ მიმდინარე სასტატისტიკო მუშაობაში. მათ ევალება თვალი ადევნონ მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის მიმდინარეობას, თითქმის მათი დღიური ზრდას და ცვლილებას, ჰკრიფონ ცნობები, ფაქტები და აწოდონ ცენტრალურ ბიუროს.

ცენტრალურმა ბიურომ დრო გამოშვებით უნდა მოაწყოს სტატისტიკოსთა ყრილობები. როგორც ვხედავთ, დიდ და რთულ აპარატს წა მოადგენს ცენტრალური სტატისტიკური ბიურო თავისი სამაზრო განყოფილებებით, ინსტრუქტორებით, ინსპექტორებით და კორესპონდენტებით.

ამ აპარატის მოწყობაში და ფართო დახმარებაში არც ერობამ და არც მთავრობამ არ უნდა დაზოგონ თავიანთი შრომა, ცდა და ხარჯები.

მეცნიერულად და რიგიანად მოწყობილი სტატისტიკა, რაც უნდა ძვირად დაჯდეს იგი, არ ჩაითვლება უნაყოფო დაწესებულებათ, დახარჯული ფული დაკარგულათ. რუსეთის ერობათა ისტორიიდან ვიცით, რომ ის ერობები იყვნენ დაწინაურებული, აყვავებული, რომელთაც ქონდათ მოწყობილი, მოგვარებული სტატისტიკა ისე, როგორც ამას მოითხოვს მეცნიერება.

სახელმწიფო, რომელიც შეიარაღებულია ასეთი სტატისტიკური დაწესებულებებით, უზრუნველყოფილია შიგნით მოულოდნელ პერტუბაციებისაგან, არევ-დარევისაგან ფინანსიურ საქმეებში, ეკონომიურ ცხოვრებაში (გარდა, რა თქმა უნდა, მისდა დამოუკიდებელ საერთაშორისო შემთხვევებისა) და თამამად, გაბედულად უყურებს თავის მომავალს.

კ. კახელი.

განა ესეც საკადრისია?

ეს ერთი კვირაა „სახალხო“ ენერგიულად სწერს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების შესახებ. ნიშანში ჰყავს გაზეთს ამოღებული ოლქის უფროსი მგელაძე.

მგელაძე არ ვარგა ოლქის უფროსად, აი რის დამტკიცებას ცდილობენ?

მიზეზი?

„სახალხოს“ რამდენიმე საბუთი მოჰყავს. ყველა საბუთის დედა ძარღვი ისაა, რომ მგელაძე ოდესღაც **პედაგოგი** იყო.

მგელაძე როგორც ადმინისტრატორი არ ვარგა იმიტომ, რომ ის ფოსტა ტელეგრაფის საქმის სპეციალისტი არ არის.

მგელაძე როგორც ორგანიზატორი არ ვარგა იმიტომ, რომ ის თურმე ინჟენერი არ არის.

ასეთია დასკვნა.

„სახალხოს“ უდღეური „საბუთების“ განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. არც იმის შესახებ გავაგრძელებთ სიტყვას, თუ როგორ ანაცვალა ამ გაზეთში მოკალათებულმა მწერლებმა სახელმწიფოებრივი საქმე, რა თქმა უნდა ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე, პარტიულ თვალსაზრისს.

არც იმას მოვიხსენიებთ, თუ როგორ ლანძღვა-თრევის, დემაგოგიის გუდათ იქცა „სახალხო“, ვიტყვით მხოლოდ, რომ იმ ნაწერებში, რაც ამდენ ხანს მოთავსდა „სახალხოში“, მხოლოდ გუშინ ვიპოვეთ ერთი ისეთი საკითხი, რომელიც პრინციპიალურ საკითხად შეიძლება ჩაითვალოს.

ეს საკითხია ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გაჭეობის წევრთა სამსახურისაგან განთავისუფლება. ეს ამოვიკითხეთ გუშინ იმ მოთხოვნაში თუ თხოვნაში, რომელიც მოსამსახურეთა კავშირის გამგეობას წარუდგენია მთავრობისათვის.

მგელაძე არ ანთავისუფლებს გამგეობის წევრებს სამსახურისაგან. უკანონოდ მიაჩნია ეს მოსამსახურეთა ერთ ნაწილს, ფედერალისტურს, ხარს უჭერს მათ „სახალხო“. და აი, საჩივარიც მიდის მთავრობაში.

რით ასაბუთებენ მომჩივანნი საჩივარს? საბუთების ძებნით დიდათ არ შეუწუხებიათ თავი, ვინაიდან მგელაძე პედაგოგია, არა სპეციალისტია ფოსტის საქმის და მაშასადამე, მისი განკარგულებაც გასაუქმებელია. ეს არის ერთი საბუთი.

მეორე საბუთად მოყვანილია რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი, სადაც თურმე გამგეობის წევრნი, რამდენიმე ათეული კაცი, თავისუფალნი ყოფილან სამსახურისაგან.

ეს არის და ეს.

ჩვენის აზრით პროფესიონალური კავშირი საზოგადოთ უნდა აკეთებდეს კულტურულ-განმანათლებელ საქმეებს, ზრუნავდეს წევრების ზნეობრივ და გონებრივ ამაღლებისათვის, იცავდეს აგრეთვე არსებული კანონების ფარგლებში წევრთა პოლიტიკურ თუ კონომიურ ინტერესებს.

როგორი ორგანიზაცია ან გამგეობაა ამისთვის საჭირო? განა ისეთი, როგორიც „სახალხოს“ მწერლებს და მათ მომხრე მოხელეთ წარმოუდგენიათ? ამისთვის სრულიადაც საჭირო არ არის რამდენიმე მოსამსახურის სამუშაოდან განთავისუფლება. კავშირის გამგეობას უნდა ჰყავდეს მდივანი, მისი თანაშემწე, რომელიც გამგეობის დადგენილებებს, რომელთა საგრძნობი ნაწილი თვით მდივნის ინიციატივის შედეგი იქნება, ცხოვრებაში გაატარებს.

განა ამისთვის რამდენიმე მოსამსახურე პორტფელით ხელში უნდა დადიოდნენ ფოსტაში და პოლიტიკანობას ანუ ინტრიგას ეწეოდნენ—უფროსს უნდა ეცილებოდნენ უფლებათა განაწილებაში?

გავყვეთ ჩვენ „სახალხოელთა“ ლოგიკას და აი რას მივიღებთ: ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირთა გამგეობები უნდა განთავისუფლებულ იქნან სამსახურისაგან.

რომ გამოვიანგარიშოთ, რიცხვი განთავისუფლებულთა ძალიან დიდი იქნება. ეს დაუშვებელია ყოველი მხრით.

ამას გარდა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში თუ შემოიღებთ ასეთ წესს, ის უნდა გაავრცელოთ კერძო დაწესებულებებზედაც.

და ეს სურს „სახალხოს“ გაატაროს იმ უშვერი კამპანიით, რომელსაც ის აწარმოებს ასე მხნედ და დაჟინებით!..

დამფუძნებელი კრების შემდეგ ჩვენ განვლეთ ის ხანა, როცა თითოეული დაწესებულებას განაგებდა მასთან ახლოს მდგომი პირები. რევოლიუციამ უპატრონოდ დაადგა ბევრი დაწესებულებები. მაშინ საჭირო იყო მოსამსახურენი გასჩენოდენ პატრონად, მაგრამ როცა შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, ეს ხალხის უზენაესი ორგანო, ქვეყნის ბატონ-პატრონი, განა ისევ უნდა გაგრძელდეს ძველებურათ ამა თუ იმ დაწესებულების შემთხვევით პატრონობა?

აი სწორედ ამ ხანებში იყვნენ გამგეობის წევრები თავისუფალნი სამსახურისაგან. იმათ პატრონობა გაუწიეს მაშინ უპატრონოდ მიგდებულ დაწესებულებებს, მაგრამ როცა პატრონი გაჩნდა, განა მათ კიდევ უნდა განაგრძონ იმავე უფლებებით სარგებლობა?

ან უნდა უარვყოთ დამფუძნებელი კრება, მის მიერ შედგენილი მთავრობა, მაშინ გასაგები და გასამართლებელი იქნება „სახალხოს“ ბევრი მოსაზრებები, და თუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ თავი უნდა დავანებოთ ასეთი მოთხოვნების წამოყენებას...

საქართველოს გარეშეო

მოხალისეთა ჯარი და სომხეთი.

მოხალისეთა გაზეთი „კავკაზსკი კრაი“, რომელიც პიატიგორსკში გამოდის, ვრცელ წერილს უძღვნის საქართველო—ადერბეიჯანს. წერილში მოყვანილია იმის საბუთები, თუ რატომ მოხდა ადერბეიჯან საქართველოს შეთანხმება, რატომ არ შეუერთდა ამ ხელშეკრულებას სომხეთი და სხვ.

სხვათაშორის, გაზეთი სწერს: „სომხეთის რესპუბლიკას კარგათ აქვს გათვალისწინებული ის განცალკევებული მდგომარეობა, რასაც მას უმზადებს საქართველო—ადერბეიჯანის კავშირი. სომხეთს არ აქვს არც ერთი საზღვარი, რომლითაც ის მოხალისეთა არმიას ეკვროდეს, არც ერთი შტო რკინის გზისა არ მოეპოვება, რომ ზღვაზე ჰქონდეს გასავალი, არ აქვს არც გზატკეცილი, გარშემორტყმულია ყოველის მხრით მტრებით, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მიმაცურად შეეგება ახალ განცდას, არ შესცვალა თავისი მოქმედების ხაზი და რა სუსტიც არ უნდა იყოს სომხეთი, ის მაინც დიდი საფრთხეა საქართველო—ადერბეიჯანის კავშირისთვის ზურგიდან, აი, ამაშია რეალური დახმარება მოხალისეთა არმიისათვის. როცა გადასინჯული იქნება რუსთა პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში, ეს არ უნდა იქნას დავიწყებული. ყველაზე უკეთესი პოლიტიკა და საუკეთესო პოლიტიკური მეგობრობა შეიძლება დამყარებულ იქნას ინტერესთა ერთიანობაზე და ურთიერთის სისწორით გაგებით. ახლა ყველას თვალხილულად შეუძლია დაინახოს, რომ რუსი დიდი ერის და სომხის პატარა ერის ინტერესები უეჭველად ერთია“.

უკანასკნელი ცნობები

სომეხ-მუსულმანთა შეთანხმება ყარაბაღის საკითხში.

„ადერბეიჯანის“ გადმოცემით—„16 აგვისტოს სომეხთა მეშვიდე ყრილობის წარმომადგენელნი, 20 კაცამდე, შეშიკენდიდან ქალაქ შუშაში მივიდნენ გენერალ-გუბერნატორთან მოსალაპარაკებლათ. ორი დღის მსჯელობის შემდეგ შემუშავებულ იქნა შეთანხმების ტექსტი 26 მუხლისაგან შემდგარი, მთავარი პუნქტები შემდეგია: შეთანხმება დროებითია, ვიდრე ყარაბაღის საკითხი არ გადაწყდება საზავო კონფერენციაზე; შუშის, ჯევანშირის და ჯებრაილის მაზრების სომხური ნაწილები ემორჩილებიან ადერბეიჯანს; გენერალ-გუბერნატორთან არსდება საბჭო, რომელშიაც შედის სამი სომეხი და სამი მუსლიმანი; გენერალ-გუბერნატორის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწედ ინიშნება სომეხი; ჯარი რჩება ხანკენდში და შუშაში მშვიდობიანის დროის მიხედვით; სომეხთა და მუსლიმანთა განიარაღება ყარაბაღში შეჩერებულია; შეთანხმების პროექტი გადაგზავნილ იქნა ყრილობაზე შუშიკენტში, სადაც ის დამტკიცდა. მიიღეს თუ არა ცნობა შეთანხმების დამტკიცების შესახებ, ქალაქი დროებით იქნა მორთული. ძალდაბეგ მოედნებზე და ქუჩებში მუსიკა უკრავდა. დაწესებულებებში მუშაობა შესწყდა, მოელიან სომეხთა ყრილობის შუშაში გადატანას. ამგვარათ, ყარაბაღის საკითხი გადაჭრილათ ითვლება, რაც ყველაში იწვევს სიხარულს და კმაყოფილებას.

ინგლისელების წასვლა.

ბაქოს გაზეთების სიტყვით უკანასკნელი ეშელონი ინგლისის ჯარისა ბაქოდან გავა 26 აგვისტოს. ინგლისის ჯარისას დიდი ნაწილი რამდენიმე ხნით და ოვებული იქნება, იმავე გაზეთების სიტყვით, თფილისში.

ასტრახანთან.

მოხალისეები დიდძალ ჯარს უყრიან თავს ასტრახანის რაიონში. ახლო ხანში იქ მოხდება გადამწყვეტი ბრძოლა. დერბენტში მყოფი ყაზახთა ნაწილები გაიგზავნა ასტრახანის ფრონტზე. მათ ნაცვლად დერბენტში მოყვანილ იქნა ორი ქვეითი პოლკი.

დაღესტანში

დაღესტანში მყოფი მოხალისეთა ჯარი თითქმის სრულიად დაიშალა. ჯარისკაცები გარბიან. ერთ რაზმში, რომელიც შესდგებოდა პლასტუნებისაგან და შიგ იყო 1500 კაცი, დარჩა მხოლოდ 200 კაცი.

ტელეგრამები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24—25 აგვისტო.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. აგვ. 25. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ინგლისის მთავრობას მიმართა წითელ არმიელებისადმი სხეცურათ მოპყრობის შესახებ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის პასუხში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მკაცრად ეპყრობა ტყვეებს. ჩიჩერინი აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა თავისუფლებას ინიანებს ინგლისელ ტყვე-მუშებს და რომ მოხალისეებს კი, რომელნ[illegible] სეთში მონარქიის აღდგენის მიზნით,—არა; ინგლისის მთავრ[illegible] ვეოავითარ გავლენას ვერ მოახდენს საბჭოთა მთავრობაზე და მხოლოდ აიძულებს მას, ინგლისის ეხლანდელ მთავრობასთან შესწყვეტოს მოლაპარაკება სამხედრო ტყვეების შესახებაც კი.

მთელ უნგრეთში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ეს ტერინოსლავის და ხარკოვის გუბერნიებში, ყუბანში, დონის ოლქში, ტაგანროგში და მის ახლო-მახლო და დენიკინის ზურგში ყველგან აჯანყებები ხდება. **მოსკოვი.** აგვ. 23. სახალხო კომისარია საბჭომ დაადგინა: საზოგადო გასართობებზე ენკენინისთვიდან უქმდება სახელმწიფო გადასახადი. **ლიონი.** აგვ. 22. ამერიკის მისია გენ. ხარბორდის მეთაურობით მოკლე ხანში ოფიცრებით და ფინანსიური და პოლიტიკური საკითხების სპეციალისტებით სომხეთში მცირე აზიაში და ოსმალეთში მიემგზავრება.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტის. პსკოვის რაიონში ჩვენი ნაწილი გაქცეულ მტერს მისდევს და მდ. ტერეხას ხაზზე გამოვიდა. ხილში ჩაიგდო ორი მძიმე ზარბაზანი. ბობრუისკის მიმართ. ჩვენმა ჯარმა დაიხია. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ნოვგოროდ-ვოლინის მიმართ. ქალაქის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. მოგილევ-პოდოლის მიმართ. ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს. სამხრეთის ფრონტი. კურსკის რაიონში კოროჩოთა ბრძოლაა. კუპიანის მიმართ. ბრძოლით ვალუიკი დავიჭირეთ. შეტევას განვაგრძობთ. ბოროსოგლების და ბალაშოვის მიმართ. ჩვენ სად. პავოროინო დავიჭირეთ. ავიღეთ ტამბოვი და სამოლოო ლიკვიდაციისთვის ბრძოლაა. ჩვენ კამიშინი დავიჭირეთ. შეტევა გრძელდება. აღმოსავლეთის ფრონტი. ტროიცკის რაიონში ორსკის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. კუსტანაია ავიღეთ. **ლიონი,** აგვ. 23., უმაღლესმა საბჭომ, გადასწყვიტა მიმართოს გერმანიის მთავრობას, ნება დართოს სილეზია მოკავშირეთა ჯარმა დაიჭიროს. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და შეერთებული შტატები თითო პოლკს გაგზავნის. ფრანგებს ეს ძალა საკმარისად არ მიაჩნიად. **ნაუენი,** აგვ. 23. ბრესლავში მაგდებურგში, ბრემენში, ბრაუნშვეიგში და მიუნქენში სპარტაკელების აგიტაცია ისევ დაიწყო. მთავრობა ყოველ ზომებს იღებს, რომ ხელი შეუშალოს მათ გამოსვლას.

ფრანგული პრესის ცნობები.

გერმანიასა და პოლონეთს შორის უთანხმოება უაღრესათ გაძლიერდა. რამდენიმე დღის წინად ბაუერის კაბინეტსა და პადერევსკის შორის დაწყებული მოლაპარაკება ხუთშაბათს დასრულდა. გადაწყვეტილია ბერლინში მყოფ გერმანულ-პოლონურ კომისიაში შესწყუეს კამათი გერმანიის ტერიტორიის ერთი ნაწილის პოლონეთისთვის გადაცემის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ 3 დღის მსჯელობის შემდეგ დაადგინა სილეზიაში მოკავშირეთა ჯარი გაიგზავნოს. ხუთშაბათს საბჭომ მოისმინა ხუვერის მოხსენება ოპელნის ქვანახშირის მაღაროებში მუშაობის შეწყვეტის შედეგების და უნგრეთის შესახებ.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მიუხედავად მთავრობის მკაცრი ზომებისა და მცხოვრებთათვის რჩევისა, ანატოლიაში მდგომარეობა წ ნანდებურად საშიშია. იუწყებიან, რომ აჯანყებულთა ჯარი სმირნა ყარაჰისარის რკინის გზის ლიანდაგზე ქალაქ უშაყში შევიდა.

პარასკევს ნაშუადღევისას კლემანსოს თავმჯდომარეობით უმაღლესმა საბჭომ განიხილა გერმანიის და პოლონეთის წარმომადგენელთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ზემო სილეზიაში მომხდარ უთანხმოების მოწესრიგება მოკავშირეთა მისიას მიენდოს. შემდეგ მოისმინეს ხუვერის მოხსენების გაგრძელება მის მიერ ცენტრალურ ევროპაში მოხდენილ ეკონომიურ ანკეტის შესახებ.

„ტან“ ს ციურიხიდან შემდეგს ატყობინებენ: ვენის ყველა გაზეთებშია მოთავსებული ცნობა ერცჰერცოგ იოსების წასვლის და სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლების მონაწილეობით უნგრეთში კოალიციონურ მთავრობის შედგენის შესახებ. ყველა გაზეთები გარდა „რეიხსპოსტ“ ისა თანაგრძნობით შეხვდა ამ ამბავს. ირწმუნებიან, რომ ერცჰერცოგი იოსები უკვე გავიდა ბუდაპეშტიდან.

გერმანული პრესის ცნობები.

მდგომარეობა ზემო სილეზიაში ჯერ ისევ საშიშია. იქ ჯარი იგზავნება საზღვრების დასაცავად. აჯანყებულებმა დაიპყრეს ქ. კატოვიცის მთელი არე მარე, სადაც აჯანყე-

ბულებს საკმაო საომარი მასალა აქვთ, პარტიზანულ ომს აწარმოებენ და მთავრობის ჯარს კატოვიცი დაატოვებინეს. ბეიტენში მდგომარეობა რამდენიმეთ უკეთესია. მთავრობის რამდენიმე მოწინავე რაზმები აჯანყებულებმა იმსხვერპლეს. ლიპინზი აჯანყებულებმა ფოსტა დაიჭირეს. დეპეშით იუწყებიან, რომ რამდენიმე მაღაროს მუშები მზად არიან მუშაობა განაახლონ.

იუწყებიან დაწვრილებით ცნობებს ოსმალეთის რეგულიარული ჯარის საშინელ მოქმედების შესახებ მათ მიერ დაპყრობილ ქ. ანდინაში აჯანყებულებს გადაწყვეტილი ქონდათ შური ეძიათ ახალგაზრდა მოხალისე ბერძნებზე საბერძნეთის ჯარში სამსახურის გამო. ოსმალებმა 40 მოხალისე დააპატიმრეს და ერთ მათგანს მოსთხოვეს ვენეზელოსის შეურაცმყოფელი სიტყვები წარმოეთქვა. ახალგაზრდა მოხალისემ მხოლოდ გაიცინა და მაშინვე მოჰკლეს. სხვებმაც უარი განაცხადეს და ბერძნული ჰიმნი შეასრულეს, რისთვისაც ისინი მაშინვე დახოცეს. ამ სიმხეცემ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მთელ საბერძნეთში.

ბერლინიდან იუწყებიან: ზემო სილეზიაში გაფიცვები საერთო აჯანყებად გადაიქცა. სისხლის მღვრელი შეტაკებები მოხდა. უკიდურესი სოციალისტები პოლონელებს თანაუგრძნობენ. ზოგიერთი გაზეთი მოკავშირეთა ჩარევას მოითხოვს. „ფრაიციეტი“ აღნიშნავს რომ მთავრობამ უკიდურესათ გააძლიერა მცხოვრებთა უკმაყოფილება. დამოუკიდებელთა ორგანო ამავე აზრისაა და ამბობს, რომ ზემო სილეზია გერმანიისთვის უკვე დაკარგულია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს 6 ს. მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია საქართველოს სოც. დემ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: მოხსენება მომენტზე და კოლლექტივის წევრების ახალი არჩევნები.

✦ **1 ენკენისთვეს** საღამოს 6 ს. ცენტრალური კომიტეტის ბინაზე შესდგება საქართ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საკანტროლო კომისიის სხდომა.

✦ **29 მარიამობისთვეს** საღამოს 6 საათზე მუშტაიდში დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია საზოგადო კრება საქ. სოც. დემ. მუშ. პირტიის 1 რაიონის პარტიის წევრთა. დღის წეს-რიგი: ორგანიზაციების არჩევნები. პარტიის წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული წიგნაკები.

✦ **ფრონტისათვის**. თანახმად პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს თხოვნისა მთავრობის დადგენილებით, წინადადება ეძლევა სახელმწიფო წარმოების ადმინისტრაციას, რომ თუ ეს ტენნიკურათ მოსახერხებელია წარმოებისთვის და მუშებიც თანახმა იქნებიან, სწარმოებდეს მუშაობა კვირას, 31 აგვისტოს და იმ დღის მუშათა მუდმივი ნორმალური დღიური ქირა შეტანილ იქნას პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს კასაში.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის** მოსამს. მომღერალ-მგალობელთა გუნდის საოჯახო საღამო კონცერტი, რაიც სხვადასხვა მიზეზებისა გამო ვერ მოეწყო წარსულ პარასკევს, უსათუოდ შესდგება ხუთშაბათს, 28 აგვისტოს თფილისის ფოსტის კანტორის დარბაზში. გაყიდული ბილეთები გამოდგება ამ დღისთვის.

✦ **პოლ. შარედინის გამგზავრება**. ამ დღეებში თფილისიდან პარიზში მიემგზავრება მოკლე ხნით საფრანგეთის პოლიტიკურ მისიის თავმჯდომარე პოლკ. შარედინი.

✦ **თფილისის მე-8-ე** (საეპარქიო) გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 10-დან, სწავლა კი 15-დან, არის თავისუფალი ადგილებიც ყველა კლასებში.

✦ **მილიციის კასა**. ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ცალკე არსებული მილიციის კასა შეუერთდა ქალაქის კასსას. კასის მისაღებათ დაინიშნა განსაკუთრებული კომისია ა. შოთაძის მეთაურობით.

✦ მიღებულია რაფიელ გიორ. რამიშვილისაგან ფრონტის დღის სასარგებლოთ 4 227 მ. და 65 კ. შეგროვილი 26 მაისს და 20 ივლისს, კოლონია ეკატერინენფელდში. ფული გადაეცა ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომისიას,

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ:

ᲒᲝᲠᲘ. 28 აგვ. დილის 10 ს. დანიშნულია გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის კრება. გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი და საშური საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს კომიტეტის წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას. სასურველია და საჭიროც კრებას დაესწრონ აგრეთვე ერობის „სოც.-დემ. ფრაქციის წევრები“.

სოფ. დაბლაციხის (გურია) სამკითხველოს სასარგებლოთ ევტიხი ალექსანდრეს ძე ჩხიკვიშვილმა ნაცნობებში და ამხანაგებში შეკრიბა ფულათ 1853 მ. წიგნები—56 მან., რისთვისაც სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ თფილისის ყველა მუშებს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

„ამხანაგებო! პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაადგინა მოაწყოს 31 აგვისტოს „პროლეტარული ფრონტის დღე“ მუშათა კლასის ძალების სადემონსტრაციოდ და მისი სოლიდარობის აღსანიშნავად რესპუბლიკის საზღვრების საომარ თხრილებში მყოფ ამხანაგებისადმი. ამ დღეს, 31 აგვისტოს, თფილისის ყველა მუშები, უნდა მუშაობდენ თავიანთ დაზგებზე, ერთსულოვანათ შეკავშირებული, ერთის ფიქრით, რომელიც ფრონტისკენ უნდა იყოს მიმართული, ერთის ნებისყოფით, რომ ბოლომდე დავიცვათ თავისუფლება და დემოკრატია. ამ უქმე დღეს, როგორც სხვა ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, ყველა მუშამ უნდა იმუშაოს, რათა დაანახოს ქვეყანას, რომ ჩვენ არ დაგვივიწყნია ფრონტი, რომ მზათა ვართ შეუსვენებლად ვიმუშაოთ რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და დემოკრატიის ბატონობის განსამტკიცებლად. დღიურ ხელფასს მუშები გადასდებენ ფრონტთან დასაკავშირებელ ფონდის გასაძლიერებლად, პროლეტარულ ზურგთან მჭიდროთ შესაერთებლათ.

ამხანაგებო, ამ დღის ჯეროვნად დაგვირგვინების საქმე, თქვენს მძლავრ ხელშია. ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოდით სამუშაოთ, დაანახვეთ თავისუფლების მტრებს მუშათა კლასის სიძლიერე და ერთსულოვნება, რომ ის ყოველთვის მზად არის ეკვეთოს მტერს და სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს რეაქციას და მის მესვეურთ.

ამხანაგებო, მაშ ერთსულოვნათ სამუშაოზე!

ყველანი წინ, რეაქციასთან ბრძოლაში!

გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს რევოლიუციის მონაპოვართა დამცველებს!

გაუმარჯოს საქართველოს მებრძოლ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

სერბია და ჩერნოგორია

გაზ. „ტანი“ გადმოგვცემს: ჩერნოგორიის მთავრობამ საზავო კონფერენციას მიმართა პროტესტით სერბიის მთავრობის წინააღმდეგ. პროტესტში ნათქვამია, რომ სერბიის მთავრობა საშინელ დანაშაულს ჩადიოდა როგორც ჩერნოგორიის სახელმწიფოს, ისე მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ; სერბიელებს სურთ ძალადობით მიაღებინონ ხალხს ანექსია, ამ მიზნით ისინი ყოველგვარ საშუალებებს ხმარობენ: ის სურსათი, რომელსაც ჩერნოგორიას უგზავნიან მოკავშირენი ანუ საქველმოქმედო საზოგადოებანი, სერბიელებს უვარდებათ ხელში. მცხოვრებთა დასაშინებლათ სერბიელები უკიდურესი შემთხვევაში მიმართავენ დამსჯელ ექსპედიციას. მაგ 8 მაისს ასეთი ექსპედიცია, 5000 კაცისაგან შემდგარი, დაეცა ზოგიერთ სოფლებს და სახლები მიანგრ-მოანგრია, ქალები და ბავშვები ამოხოცა, 11 სოფელი, გაანადგურა და სხვ. ჩერნოგორია მოითხოვს რომ საზავო კონფერენციამ ბოლო მოუღოს ასეთ ძალადობას.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲗᲘ

IV

გარდა იმისა, რომ ხევსურეთში დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს სანაპირო რაზმი და ვიხსნათ ქისტების თარეშისაგან,—საჭიროა უდიადესი ყურადღება მიექცეს სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს.

ძველად, თვითმპყრობელობის დროს იქ ოთხი სასწავლებელი ყოფილა. ახლა კი ერთშიაც არაა მეცადინეობა. შენობები დაზიანებულია და ესაჭიროება საფუძვლიანი შეკეთება. საქართველოს სხვა კუთხეებში ახალი სასწავლებლების მიმატებას ვაპირობთ და აქ კი ძველიც ვერ აღგვიდგენია. ხევსურეთს აქვს უფლება მეტი ყურადღება მოითხოვოს ჩვენგან და დაგვავალოს ვიზრუნოთ მის განვითარებაზე.

ხევსურეთში ჩქარა იცის აზამთრება, პირიქით, ხევსურეთს თოელი ძალიან მალე მოგვწყვეტს და მე ვფიქრობ, რომ განათლების სამინისტრომ დროით უნდა მიხედოს და საგანგებო თანხა გადასდოს როგორც შენობათა შესაკეთებლად, ისე გამონახოს დარბაისელი მასწავლებლები, რომელთაც ჯამაგირიც საგანგებოთ უნდა გაედიდოთ, თორემ იმ ჯამაგირს, რომელსაც დღეს სოფლის სკოლის მასწავლებლები ღებულობენ—არავინ დაკმაყოფილდება და ასე შორს არ წავა სამასწავლებლოდ.

ვიმეორებ, ამ საქმის მოგვარება განათლების სამინისტრომ უნდა იდვას თავს, თორემ თიანეთის მაზრის ერობა ეს-ეს არის ამ დღეებში დაიბადა და ასეთს მძიმე საქმის გაკეთებას ასე ჩქარა ვერ მოასწრობს.

ხევსურეთში არაა სამკითხველო, არ არიან მომზადებული პირები და სახალხო მასწავლებელი ზედ მისწოლია იქნება და იმედის შუქს მოჰფენს ბნელს მხარეს. მერმე რა ოსტატურად ახერხებენ წყვდიადის მოციქულნი აქ პარპაშსა. მათი ინფორმაციის ბრალია, რომ გვარდიას მტრულად იხსენიებენ, გადასახადების წინააღმდეგ ხალხს ჩასჩიჩინებენ და, რაც დამახასიათებელია მთავრობის წინააღმდეგ აღელვებენ; მან ღმერთი უარჰყო, წმინდანების წინააღმდეგია და სხვა. ლიქოკის საზოგადოებაში, როცა არჩევნები დაიწყო—რამდენიმე ხევსურმა ამნაირად მიმართა ხალხსა: ვინც ხატების წინააღმდეგია, პირველი ნომერს მისცემს ხმასა, ვინც მომხრე მერვესაო.

ასეთს ხმების გავრცელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მღვდლებსა და ვაჭრებს თუ ბარათ მათ ხალხი კარგა გაეცნო და შესაფერისს წინააღმდეგობასაც უწევენ—მთაში ისევ დარჩენიათ გავლენა, რასაც ხევსურეთში ახერხებენ ხომ ახერხებენ, რაც არა და თიანეთში უმატებენ. ჩამოვლენ თუ არა ხევსურეთში აქაური ბობოლები, განსაკუთრებით ვაჭრები, ეობის ეშმაკებივით შემოეხვევიან, ნამეტნავად მაშინ, როცა არჩევნებია მთაში მოსახდენი და ჰბერავენ საცოდავებს ათასი სიცრუით. რა გასაკვირველია, რომ ასეთი მასწავლებლების მოწაფენი აღმზრდელებს სპარბობდენ და მეფეზედაც კი ოცნებობდენ. ერთი ხევსური ცნობის მოყვარეობით შემეკითხა: ნეტავ ბაგრატოვანთა გვარიდან ხომ არავინ დარჩენილა, ეგება იმას ეკისრა საქართველოს პატრონობაო. შევხვდი აგრეთვე სკომხოელ ხევსურს ჩალხია ლიქოკელს, რომელმაც, როცა დაინახა საარჩევნო ბიულეტენები და გაიგო, რომ საქართველოს პატრონს ირჩევენო, მწარეთ ჩაიცინა და სთქვა: მეფეს გვირგვინი ციდან მოსდიოდა და ამიტომ ეჭირა ხალხი ხელში, აბა რა უთხრა მე იმ კაცსა, რომელიც ამ ფარატინა ქაღალდებით იქნება ამორჩეულიო.

განა არ ეტყობა ვისი „მადლითაა“ ასე ხალხთა გონება „გაბრწყინებული?..“

დასასრულ ორიოდე სიტყვა ფედერალისტთა „მოღვაწეობაზე“ ხევსურეთში. ყველას შემჩნეული ექნება, რომ კრილოვის ცნობილი ქინჭრაქა იმდენს არა ჰპირდებოდა ქვეყნიერობას, რამდენსაც ჰპირდებიან ხალმე ეს ვაჭბატონები არჩევნების დროს ხალხსა. რა გინდა სულო და გულო, რომ მათ არ აღუთქვან... ოღონდ თქვენ ხმა მოგვეცით და სულ ნაზუქ ხაჭაპურებით და კიდევ მოვალი დოვლათით აგიგსებთ ოკაბსაო. ამ ბოლო დროს იგინი ისე შეიდენენ დაპირების როლში, რომ სასაცილო მდგომარეობაშიაც კი ჩაცვივდენ და ეავი გაიმასხარავეს. დამფ. კრების დამატებითი არჩევნების თავიანთ სასარგებლოთ ჩასატარებლათ მათ გამოუცია ხევსურებისთვის საგანგებო ფურცელი, საცა მრავალ ბაქი-ბუქობის შემდეგ სწერენ: „ხევსურებს არა აქვთ გზები, **წყალი. სარწყავი, არხები.** ფედერალისტები მოითხოვენ, რომ მთავ ობამ **გაიყვანოს არხები.**“

ხევსურეთში ისე მთას ან ღელეს არა ჰნახავთ, რომ წყაროს შადრევანი არ გადმოჩუხჩუხებდეს და ეს ვაჭბატონები არწმუნებენ მათ, თქვენ წყალი არა გაქვთო. უფრო სასაცილოა სარწყავი არხები. ხევსურეთში კაცი ფრიალო და თვალ-მიუწვდენელი კლდე-მთების მეტს ვერ შეჰხვდება და არ იცის კაცმა, ან რაში, **რისთვის გამოიყენებს ამ არხებს ხევსური**, ან რა ძალა, რა სასწაული შესძლებს, **სად გაუგიათ რომ „არხები ასეთს კლდეებზე აეყვანათ.** გოგოლის მანილოვი ოცნებობდა რომელიღაც ტბაზე ხიდი გაეკეთებინა, შუა გულში წასოდგა კოშკი და იქ მიერთმევნა ხოლმე ჩაი. ფედერალისტების ფანტაზია უფრო მდიდარი ყოფილა და არხები გაჰყავთ იქ,

„სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან
ცამდის ასულნი,
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირ-
თებზე მსროლელნი“.

ხევსურებს სასაცილოთ არ ეყოთ ასეთი ფურცლების წაკითხვა. კაი მაგათ მოუვათ, კარგა მაგათ ჰყვარებიათ ხევსურეთი, რომ ოდნავი წარმოდგენაც კი არა ჰქონიათ აქაურს არე მარეზეო.

მართალია, ფედერალისტებს [illegible] ყრუებული ჰყავთ მტკიცენი [illegible] ვართ ქვეყნის [illegible] არავინ იცნობს ხალხის [illegible]—ძაგრამ მაინც კარგს იზავდნენ, თუ ჯერ საქართველოს შეისწავლიდნენ და მერმე დაიწყებდენ საზოგადო მოღვაწეობას.

დ. თურდოსპირელი

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲚᲠᲘᲡ

თᲨᲘᲚᲘᲡᲘᲡ თვითმართველობის მუშა მოსამსახურეთა დელეგატთა ყოფილობამ 24 აგვისტოს კრებაზე დაადგინა: 1) ქალაქის მოსამსახურეებმა გადასდონ ერთი დღის შემოსავალი პროლეტარულ ფრონტის დღის სასარგებლოთ, რაც დაახლოვებით შეადგენს 60,000 მანეთს. 2) გადაიდოს ყოველთვიურად ორი პროცენტი მოსამსახურეთა შემოსავლიდან პროფესიონალური კავშირის სასარგებლოდ. 3) მოსამსახურეთა მიღება და დათხოვა ხდებოდეს პროფეს. კავშირთან შეთანხმებით, თანახმად შრომის სამინისტროს დეკრეტისა.

Ს.-Დ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. კარგა ხანია არაფერი დაწერილა პრესაში ხაშურის პარტიული ცხოვრებიდან. ამან ერთნაირი გაუგებრობა შექმნა ჩვენს პარტიულ მასაში. ამ წერილის მიზანია გავაცნოთ ამხანაგებს ხაშურის ს. დ. ორგანიზაციის მუშაობა.

ვინაიდან კომიტეტს ვადა უთავდებოდა მუშაობისა და მეორე მხრივ ხაშურის ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს 700 წევრს, აერ აწარმოებდა ისეთ ნაყოფიერ მუშაობას ძველი სისტემით, როგორიც ეს დღევანდლამდე ბიდიოდა. ამიტომ მისმა ხელმძღვანელმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოეხდინა კომიტეტის რეორგანიზაცია და ორგანიზაციული მუშაობა ახალ იაჩეიკურ სისტემაზე მოეწყო

20 ივნისს მოხდა წევრთა საზოგადო კრება, სადაც ის შესაფერი მოხსენებით გამოვიდა საზოგადო კრების წინაშე. კომიტეტის მუშაობის და მოქმედების შესახებ ამ კრებაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა, ხაშურის სოც დემ. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ დაადგინა: კომიტეტმა გააკეთა რის გაკეთებაც შესაძლო იყო არსებულ პოლიტიკურ მომენტში; კომიტეტს ჰქონდა დეფექტები თავის მუშაობის დროს, რომელიც გამოწვეული იყო ობიექტიური პირობებით და გითვალისწინა რა ყოველივე ეს, იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ამტკიცებს წარმოდგენილ ანგარიშებს და გადადის მორიგ საკითხზე.

საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ იქნა ორგანიზაციის მომავალი სამოქმედო ინსტრუქცია და არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაეკვალა „იაჩეიკების“ მოწყობა და შემდეგ კი კომიტეტის შედგენა, კომისიაში არჩეულ იქნენ: ი. თელია, ცაგურია. მარიამ. სარევიზიო კომისიის არჩევა გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

ახლად შემდგარ კომიტეტის სხდომა მოხდა 17 ივლისს, როგორც დროებით საორგანიზაციო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა სულ ხაშურში შემდგარა 7 „იაჩეიკა“. ინსტრუქციის ძალით თითოეულ „იაჩეიკას“ შეუძლიან გამოგზავნოს ხელმძღვანელ კომიტეტში თითო წარმომადგენელი ყოველ 50 კაცზე.

ამრიგად პირველ იაჩეიკიდან (დეპო) გამოგზავნილ იქნა—მეყანწიშვილი და თ. სხილაძე; მათ კანდ. ს ბაბლიძე. მეორე იაჩეიკიდან (მემანქანეები)—ი. თელია; კანდ. ვ. მეტრეველი. მესამე იაჩეიკიდან (ლიანდაგი)—მ. ჭყონია, გაგნიძე; კანდ. დ. ჩიკვაიძე. მეოთხე იაჩეიკიდან (მოძრაობის დარგი)—ვ. მარიამიძე, შათირიშვილი; კანდ. ღოლაძე. მეხუთე იაჩეიკიდან (კონდუქტ.)—ვ. ბასილაშვილი; კანდ. ცაგურია. მეექვსე იაჩეიკიდან (ქალაქის წრე)—ვ. მიქაძე; კანდ. ნ. ციციშვილი. მეშვიდე იაჩეიკიდან (ქალთა წრე)—თალაკვაძისა; კანდ. გოგოლაძისა.

აქვე არჩეულ იქნა კომიტეტის პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ კომიტეტისა არჩეულ იქნა მ. მარიამიძე, მის ამხ. მ. ჭყონია, მოლარედ ი. თელია, მდივნად ვ. ბასილაშვილი.

თანახმად ინსტრუქციისა კომიტეტმა გამოყო თავის წრიდან შემდეგი კომისიები: საფინანსო, საორგანიზაციო და საგამომძიებლო. თითოეულ კომისიაში შედის სამი კაცი.

საფინანსოში არჩეულ იქნენ: მ. ჭყონია, ვ. მიქაძე, თალაკვაძისა; საორგანიზაციოში—სხილაძე, მეყანწიშვილი, ცაგურია, საგამომ-

ძიებლოში ი. თელია, შათირიშვილი, გაგნიძე. პასუხისმგებელ კორესპოდენტად არჩეულ იქნა ვ. მიქაძე.

რომ იაჩეიკებში სისტემატიურად მიმდინარეობდეს მუშაობა, როგორც ორგანიზაციული, ისე იდეური, კომიტეტმა შეადგინა პროპაგანდისტთა კოლეგია, რომელშიდაც ჯერ-ჯერობით შედის სამი კაცი: ვარ. მიქაძე, მ. მარიამიძე და ალ. ასკურავა.

კომიტეტის მიერ არჩეული კომისიები შეუდგნენ უკვე მუშაობას.

საფინანსო კომისიამ კომიტეტის მატერიალურ მხარის გასაძლიერებლად მოაწყო წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი ამხანაგები დაესწრო.

საორგანიზაციო კომისია შეუდგა წევრთა სარეგისტრაციო ახალ წიგნის შედგენას იაჩეიკების დამიხედვით. პარტიული გადასახადი გადიდებულ იქმნა სამ მანეთამდე თვეში.

პარტიულ მუშაობას მუშები დიდის ენერგიით და ხალისით ეკიდებიან. ისინი მზათ არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ დამოუკიდებლობის და რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად. ის ხმები, რომ ვითომდა ხაშურის მუშებში „ბალშევიზმა“ იჩინა თავი, ვითომდა ისინი არ იზიარებენ სახელმწიფოს ხელმძღვანელ პარტიის ტაქტიკას და მოქმედებას, მტკნარი სიცრუეა, ჩვეულებრივი დემაგოგიაა.

თუ ბალშევიზმი რუსეთში დემაგოგიის საშუალებით იდეურ მოწინააღმდეგეთ ხშირათ ამარცხებდა, ამას ვერას დროს ვერ მიაღწევს იგი ჩვენში. **ვ. მანელი.**

პროვინცია

საჩხერის რაიონი. სამი კვირაა, რაც საჩხერის რაიონის კომისრად დაგვინიშნეს პოდპორუჩიკი მახარაძე. გვეგონა მაზრის ერობის გამოგზავნილი კაცი საიმედო ადმინისტრატორი გამოდგებოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდით. რაც აქ მან ამბები დაატრიალა, ვეჰვობ სადმე უპატრონო ქვეყანაში მოიმოქმედოს კაცმა. მის თავგასულობას საზღვარი არ უჩანს, მაგრამ რაც მან მოიმოქმედა 12 აგვისტოს, ეს ძნელი ასაწერიცაა. ამ დღეს ის ეწვია თავის ძმით სტუმრად სხვებთან ერთად ვლად. კირვალიძეს სოფელ სხვიტორში. საღამოს 6 საათიდან დილის 4 ს. ქეიფობდენ. იმათი ღრიალით და ყვირილით სოფლელებს მოსვენება არ ჰქონიათ მთელ ღამეს. 4 ს. შემდეგ გარდა კომისრისა ყველას დაეძინა, თვითონ კომისარი კი თავის ბინაზე წამოვიდა, რომელსაც გამოჰყვა მასპინძელი კირვალიძე. ამ დროს იქვე ახლოს გზაზე ნახა ტყეში მიმავალი სოფლის მუშები, რომელთაც ტყის მცველი მიხ. კირვალიძე უშინჯავდა ნებართვის ბარათებს შეშის გამოტანისას. ვისაც ჰქონდა ნებართვა, იმას ტყისაკენ უშვებდა, ვისაც არ ჰქონდა, იმას ადგილს უჩვენებდა სად უნდა აეღო ნებართვა. კომისარმა, ძალზე ღვინით გალეშილმა, დაინახა რა ეს ხალხი, მიაძახა: „ვინა ხართ თქვენო“—ტყის მცველმა უპასუხა, რომ ისინი ტყის მუშებია და ნებართვით უშვებს ტყისაკენ. კომისარმა მოსთხოვა მცველს, რომ თუ ვინმე უწევს წინააღმდეგობას, იქვე მოკლას. ტყის მცველმა უპასუხა: მე წინააღმდეგობას არავინ არ მიწევსო. კომისარმა მაინც შეჰყვირა ყველა მუშებს უკან გაყოლოდენ კომისარიატში. ცამეტამდე კაცი იყო. გზაზე კომისარმა თვალი მოჰკრა ერთ ახალგაზრდას, სოფ. სხვიტორის მცხოვრებს ბაგ. ზამბახიძეს, რომელიც მიდიოდა იქვე წყალ გაღმა. კომისარმა ამოიღო მაუზერი და 6 ჯერ ესროლა. სროლის დროს 16 წლის ახალგაზრდა შეშინებული მიწაზე დაეცა. ამ დროს მივარდა მას დაცემა დაუწყო. თურმე კომისარს ეგონა, რომ დაპატიმრებული ტყის მუშათაგანი გაექცა. ასე ახალგაზრდა ზამბახიძეს უდანაშაულოდ სცემა ძალზე. სროლაზე, რასაკვირველია, სოფლელები გარეთ გამოცვივდნენ, შეშინებულები ზოგი იძახდა ოსები შემოგვესიენ და ზოგი კაცი მოკლესო. კომისარმა შეშინებას გლეხები არ დააჯერა, ფეხზეშველა ხალხიც დააკავა. ყველა ესენი წაიყვანა კომისარიატში. გზაზედ შეხვდა მიხეილ ასანიძე, რომელიც პურის გასალეწათ მიდიოდა კალოზე. კომისარმა ისიც დააკავა და უმიზეზოთ სცემა და მაუზერის კონდახს თავ პირში სცემდა. ხსენებული ასანიძე ახლაც მწოლიარე ავათმყოფია გალახულობის გამო. ყველა ეს ხალხი, დაახლოვებით 30 კაცი, გალეშილმა კომისარმა კომისარიატში მიიყვანა. კომისარიატშიც ბაგრატ ზამბახიძეს მივარდა რევოლვერით და სიკვდილით ემუქრება, მაგრამ ტყის მცველი გააშველებს. კომისარი უბრძანებს მილიციონერებს და სპატიმროში ამწყვდევს ყველას, გარდა გალახულ ასანიძისა. მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლებს ყველას, როცა კარგა გამოძინებული მეორე დღეს მიდის სატუსაღოში ანთავისუფლებს მხოლოდ იმათ, ვინც 28 წლის ზევით არის წლოვანებით დაახლოვებით. დანარჩენს კი სთხოვს თავისუფლების მოწმობას. რადგანაც ისინი დეზერტირებათ ითვლებიან.

ასეთია ჩვენი რაიონის კომისარი და საჭიროა ასეთი მოქმედებისათვის ის მიეცეს სამართალში. **დამსწრე.**

ს. გიორგიწმინდა. (გარეთ კახეთი). იყო დრო, როცა თითით საჩვენებელი იყო ჩვენში წერა კითხვის მცოდნე. სასურველი პიროვნება იყო თუ არ იყო, მაინც იმას აირჩევდა ხალხი ფულის ამკრეფათ, რადგან მხოლოდ იმას შეეძლო ბარათის—კვიტანციის დაწერა. ჩვენდა სასიხარულოთ დღეს ასე აღარ არის. დღეს არა თუ წერა-კითხვის მცოდნე გამრავლდა, არამედ—ჩვენი სოფლის მასწავლებლის ქ-ნ სიდამონაშვილის მუყაითი მეცადინეობით შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელმაც უკვე გამართა ორი წარმოდგენა. სამშაბათს 6 აგვისტოს წარმოადგინეს კომედია „ვაის გავეყარე ვუის შევეყარე“ და „ხოროველობა“. აღტაცებაში მოდიხართ როცა ხედავთ ჩვენებურ კარჩაკეტილობაში აღზრდილ ახალგაზრდა ქალიშვილებს, რომლებიც გამოდიან სცენაზე და საკვირველი გაბედულებით და ჩინებულათ ასრულებენ როლებს. განსაკუთრებით კარგათ ასრულებდა როლს ქ-ნი მენთეშაშვილი ჯერ მოსამსახურის როლში და შემდეგ მოხუცი კაცისა. აგრეთვე უნაკლოთ შეასრულა თავისი როლი პ. დიღმელაშვილმა „ხოროველობაში“ (ბაქოელი თათარი), საუცხოვო იყო ნ. გოდერძოვი თავად რეტიანის მოსამსახურე გურული ბიჭის როლში. კარგი იყო დ. ხოსიტაშვილი თფილისელი ვაჭრის როლში, რომელიც თავისი მანერებით ფოტოგრაფიული ტიპი იყო ქალაქელი სომხისა. არა უჭირდათ რა დანარჩენებსაც როლების ცოდნაში, ხოლო საზოგადოების მაგიერ რომ თითონ იცინოდნენ, ეს ყველაფერს ბეფუჭებდა,

დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი სიდამონოვი, რომელმაც არარაისაგან შეჰქმნა ეს თეატრი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი მოწყობილება—ინვენტარი.

ოჯახი უმახინჯოთ არ არის, ჩვენს სოფელშიც აღმოჩნდენ ასეთი მახინჯები და მადლობის მაგიერათ უწუნებენ და უმადურათ უტარებენ ამ ღვაწლს მასწავლებელ სიდამონოვს. ეს ვაჟბატონები თეატრში ხედავენ მითომ და გარყვნილებას, მაგრამ ასეთებს შეესაფერი პასუხი მოხსენდათ. წარმოდგენის ღამეს სცენაზე მოქმედების დაწყებამდე მოქალაქე ვ. კანჯარაშვილისაგან, რომელმაც მოკლე სიტყვაში აუხსნა დამსწრე საზოგადოებას თეატრის მნიშვნელობა და მოუწოდა მათ თეატრისადმი მეტი ნდობა და სიყვარული გამოეჩინათ. ხალხმა ორატორი ტაშით დააჯილდოვა. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. წმინდა შემოსავალი პირველათ დარჩა 600 მან. მეორეთ 1000 მანეთი, რომელიც გადაიდო შკოლის სასარგებლოთ.

ხალხის დარაჯი.

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის“ მე 187 ნომერში ბატ. დ. თევზაძის მიერ მოთავსებულ ცილის წამებაზე ჩემს შესახებ ეხლა პასუხს არ ვაძლევ, ვინაიდან არც დრო მაქვს და არც ხალისი ეგეთ ცილის წამებაზე აშენებულ პოლემიკაში რედაქციას გავაწევინო უნაყოფო შრომა და მკითხველებს დავაკარგვინო დრო. ერთადერთ კანონიერ გზათ მიმაჩნია სასამართლო, სადაც ამასთან ერთად ვაძლევ ბ. თევზაძეს პასუხისგებაში და მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო გაგვასამართლებს, განაჩენს მოვათავსებ გაზეთში. **ნ. ლეჟავა.**

„ფრონტის დღის“ ანგარიში

(გაგრძელება. იხ. „ერთობის“ № 181).

1) მეორე კოლექტივის მდივნისაგან (გზავასაგან) 250 მ., 2) დამფუძნებელი წევრისაგან (შეგჩუკისაგან) შეგროვილი ფული ბელიკლუჩში 870 მ., 3) ნემსაძისაგან დარჩენილი ღვინის, რომელიც მერმე იყო გაყიდული 200 მან., 4) „ფრონტის დღის“ მომწყობ ბორჯომის კომიტეტისაგან 13319 მ., 5) ახალციხის „ფრონტის დღის“ კომიტეტისაგან 5000 მ., 6) ახალციხის „ფრონტის დღის“ კომიტეტისაგან 850 მან., 7) სოფ. ეწერის „ფრონტის დღის“ კომიტეტისაგან 450 მან., 8) ვარლამ იმნაძისაგან ქუთაისში „ფრონტის დღეს—შეგროვილი 20730 მან , 9) ბათუმში ქართველთა ეროვნულ საბჭოს მიერ შეგროვილი „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 95,377 მან., 10) ნავთლუღის რაიონისაგან (გერმანე მესხიშვილისაგან) შეგროვილი „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 5352 მან. 25 კაპ.

(გაგრძელება იქნება).

განცხადებანი

იყიდება

ბუხღალტერია

ს. ტარუაშვილისა

წერა-კითხვისა და „განათლების“ მაღაზიაში. იბეჭდება ს. გლახაშვილის ნაწერების პირველი ტომი. (10—1)

ქ. ოზურგეთში

იყიდება ორსართულიანი ქვითკირის სახლი ოთხი ოთახით.

მისამართი: ნატანების ქუჩა, დიმ. ერისთავის სახლი. (3—1)

ვაჭრობა-მრეწვ. სამ. უწყ. მყოფი

საგუკოლტერო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა

(არსებობს 1898 წ.)

4 თვიანი კურსი. მიღება ყოველ დღე. მეცადინეობა იწყება 20 სექტემბრიდან. ნიკოლოზის ქ. № 22. (3—3)

ცეკვის კურსები

მე 27-დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101.

(5—2)

ცნობილმა ძმ. ჩარექოვების

კირის ქარხანამ

ქ. ქუთაისში დაიწყო წარმოება; მიიღება დაკვეთა ვაგონებით და წვრილათ.

საკირს ტელეფონი № 172.

ქალაქის კანტ. ტელეფ. № 74.

(5—5) პატივისც. გრ. ჩარექოვი.

დოქტორი ვ. ბოლდუტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ლენინის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდების

პერძო სამპურნალო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, (24—21)

ექიმი ვ. ფ. ჟვალიგლიშვილი

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ბორჯომში

პროფ. დოქტ. მედიცინისა ვ. ბ. ოსიპოვი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „ევროპა“ (Минеральные воды).

ექიმი გ. მ. ბუხაძე

თფილისიდამ გაემგზავრა და 1 ენკენისთვემდის ავადმყოფების მიღება შესწყვიტა. (5—5)

ექიმი ვ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ა. დ. ძაკელია

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრეს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე ფახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ვ. ბ. ბეზრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ბლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ჯასხვიებით, დიდი სალენოიდი და არსეგალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა, მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი

ექიმ ძ. თ. ტყეშელაშვილის

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ნაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ბადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

თფ. საშუალო პოლიტექნიკური

სასწავლებელი

იღებს თხოვნებს ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო განყოფილებებზე; პირველ განყოფილებაზე შემდეგი სპეციალური დარგები იქნება: სარკინისგზო, მექანიური და ელექტროტექნიკური; მეორეზე—გზათა საამშენებლო, სახუროთმოძღვრო და ჰიდრო ტექნიკური. სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა ოთხი კლასის მოწმობა.

მისამართი: თფილისი, დიდიმთავრის ქ., № 70.

თფ. პედაგოგიური ინსტიტუტი

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ამ თ. აცხადებს შემდეგს:

1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორწლიანია. 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვაჟთა ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გამომცდელ კომისიაში ჩაბარებს გამოცდებს (პროგრამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.

თხოვნები მიიღება თფილისში (პედაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—5)

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (10—8)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ჩუბაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.